საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილისქ., №35 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №03

ქ. ბათუმი 12 სექტემბერი, 2016 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 აგვისტოს №63 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ,,ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის თანდართული წესი **(დანართი N1).**
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი:** ა) „აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის აკადემიური დატვირთვისა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ” ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 31 ივლისის №01 გადაწყვეტილება; ბ) „სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) შრომის ანაზღაურების გაცემის წესის განხილვის შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 31 ივლისის №2 გადაწყვეტილება.
3. 2016-2017 სასწავლო წლისათვის დასაშვებად ჩაითვალოს ერთდროულად 2-ზე მეტი დოქტორანტის ხელმძღვანელობა.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება გავრცელდეს 2016-2017 სასწავლო წლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს, მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის მართვის სამსახურს, კანცელარიას, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
6. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**

დანართი N1

ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში „უნივერსიტეტი“) საგანმანათლებლო საქმიანობა ძირითადად წარიმართება კონკურსის საფუძველზე შერჩეული აკადემიური პერსონალის (პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის, ასისტენტის) მიერ.
2. აკადემიური თანამდებობის პირის შრომითი საქმიანობის შესაბამისად, ბსუ-ს საშტატო განრიგით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების გაცემის საფუძველია მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება და შესაბამის სასწავლო წელს, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული აკადემიური დატვირთვა.
3. აკადემიური პერსონალის აკადემიური საქმიანობა მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ასევე არასააუდიტორიო საქმიანობას. სავალდებულო სააუდიტორიო დატვირთვის შემადგენელი კომპონენტები შეიძლება იყოს:
   3.1 სალექციო, პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა, სემინარული და ლაბორატორიული სამუშაო: ა) სწავლების პირველ საფეხურზე; ბ) სწავლების მეორე საფეხურზე, სადაც სტუდენტთა რაოდენობა არის 10 ან მეტი; გ) სწავლების მეორე და მესამე საფეხურზე მცირერიცხოვანი ჯგუფები (არაუმეტეს 30 სთ-სა);
   3.2 საველე-სასწავლო/საწარმოო/პედაგოგიური პრაქტიკა - საათების რაოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო გეგმების შესაბამისად;
   3.3 დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელობა - 50 საათი;
4. **ბსუ-ში საათობრივი ანაზღაურების წესით შესრულებადი** აკადემიური დატვირთვის შემადგენელი კომპონენტი შეიძლება იყოს:

ა) სალექციო, პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა, სემინარული/ლაბორატორიული სამუშაო - სწავლების სამივე საფეხურზე;

ბ) საველე-სასწავლო/საწარმოო/პედაგოგიური პრაქტიკა – საათების რაოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო გეგმების შესაბამისად;

გ) კურატორობა –ერთჯგუფზე(არაუმეტეს 30 სტუდენტისა)სასწავლოწლისგანმავლობაში - 10 საათი (დატვირთვას ასრულებს მხოლოდ ბსუ-ს პერსონალი, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული პირიც);

დ) საბაკალავრონაშრომისხელმძღვანელობა – ერთი ნაშრომი-10 საათი;

ე) სამაგისტრონაშრომისხელმძღვანელობა (სწავლებისმეორეწლიდან) -ერთი ნაშრომი-20საათი;

ვ) სემინარი დარგში, სემინარი ქვედარგში-10 კრედიტის შემთხვევაში -1 სტუდენტი 10 საათი, 5 კრედიტის შემთხვევაში-1 სტუდენტი-5 საათი.

ზ) დოქტორანტისხელმძღვანელობა - სწავლების 6 (ექვსი) სემესტრის განმავლობაში - 100 საათი (პირველი სასწავლო წლის ბოლოს ანაზღაურდება 20 საათი, მეორე სასწავლო წლიდან ყოველი სემესტრის ბოლოს - 20 საათი; თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში 100 საათი ნაწილდება პროპორციულად-სემესტრულად);

5. აკადემიური საქმიანობა (არასააუდიტორიოსამუშაო) შეიძლება მოიცავდეს:

5.1. მზადება ლექციისთვის ;
5.2. მზადება პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობისათვის/ჯგუფში მუშაობისათვის/კურაციისათვის;
5.3. სტუდენტთაკონსულტაცია - ,,ა“კატეგორიისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ,,ბ“ კატეგორიისათვის – არანაკლებ 2 სთ. (სავალდებულო შესასრულებელი);
5.4. უწყისის/ჟურნალის წარმოება;
5.5. სტუდენტის შეფასება (მიმდინარე, შუალედური, საბოლოო);
5.6. ახალი100 საგამოცდო ტესტის შედგენა ან საგამოცდო საკითხებისა და კითხვების მომზადება;
5.7. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა;
5.8. სტუდენტის სამეცნიერონაშრომისხელმძღვანელობა;
5.9. სახელმძღვანელოს თარგმნა;
5.10. მონოგრაფიის ან სახელმძღვანელოს მომზადება;
5.11. სამეცნიერო სემინარზე მოხსენების გაკეთება;
5.12. სამეცნიეროსტატიისმომზადება;
5.13. საკონფერენციოთემისმომზადება;
5.14. საპატენტო განაცხადის მომზადება/წარდგენა;
5.15. საგრანტო განაცხადის მომზადება/წარდგენა;
5.16. დარგობრივ დეპარტამენტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორ-დინატორობა;
5.17. საჯარო ან ღია ლექციის მომზადება;
5.18. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობა;
5.19. აკადემიური საბჭოს წევრობა;
5.20. სილაბუსის შედგენა/სრულყოფა;

5.21. საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება;
5.22. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება;
5.23. სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება;
5.24. საგამოცდო პროცესში მონაწილეობა;
5.25. სემინარი დარგში, სემინარი ქვედარგში -10 კრედიტის შემთხვევაში - 1 სტუდენტზე 10 საათი, 5 კრედიტის შემთხვევაში-1 სტუდენტზე 5 საათი;
5.26. სხვა, წინამდებარეწესითგაუთვალისწინებელი საუნივერსიტეტოაქტივობა -- სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 100 საათისა.

6. აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველი არის შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის წინადადებებისა და დეკანის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პროექტი.
7. აკადემიური პერსონალისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი აკადემიური დატვირთვა (მათ შორის საათობრივად ანაზღაურებადი) უპირველესად განისაზღვრება კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხისა და საკონკურსო განცხადებაში/ანკეტაში მითითებული სასწავლო კურსების მიხედვით. დარჩენილი საათების შესრულების მიზნით, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის წინადადებით დადეკანის დასაბუთებული წარდგინებით,ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე შეიძლება მოწვეული იქნასბსუ-ში შესაბამისი მიმართულებით 3-წლიანი მუშაობის გამოცდილებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის/კომპეტენციის მქონე პირი - მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი) ან სპეციალისტი (შესაბამისი დარგის, 5 წელზე მეტი პრაქტიკული გამოცდილების კვალიფიციური პირი).საგანმანათლებლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე, ამავე წესით (კონკურსის გარეშე) შესაძლებელია საქარ-თველოსა და უცხოეთში აღიარებული სპეციალისტისმოწვევა;
8. ემერიტუსები, შეიძლება მოწვეული იქნან ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (კონკურსის გარეშე) მხოლოდ უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურზე, ბსუ-ს წესდების შესაბამისად (ანაზღაურების გარეშე).
9. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მასწავლებლად შესაძლებელია მოწვეულ იქნას(კონკურსის გარეშე) საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული პერსონალი. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია, ამ წესის მიხედით, შესაბამისი გამოცდილების სპეციალისტების მოწვევა პროგრამის ხელმძღვანელის ან/და შიდა მხარდაჭერის ჯგუფების ინიციატივით (მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში).
10. ამ წესის მე-6-8 პუნქტების შესაბამისად საათების განაწილების შემდეგ დარჩენილი სამუშაოს შესასრულებლად პერსონალის მოწვევა ხორციელდება ღია კონკურსის წესით, შესაბამისი მიმართულებით მუშაობის/კვალიფიკაციის გათვალისწინებითა და ღია ლექციის (შესაბამისი სააუდიტორიო მეცადინეობის) ჩატარებისა და შეფასების საფუძველზე. კონკურსის ჩატარების ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, საკონკურსო პირობები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოცემული, რექტორის ბრძანებით, რომელიც უნდა განთავსდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე. დეკანის წარდგინებაში მიეთითება

შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ინფორმაცია (ვაკანტური სასწავლო კურსების დასახელება, ჩასატარებელი საათების რაოდენობა და ჩატარების დრო - სემესტრი).

11. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი საკონკურსო კომისიების სხდომის ოქმის (საკონკურსო მასალა) საფუძველზე მიმართავს ბსუ-ს რექტორს, რომლის საფუძველზეც ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტი ამზადებს ბრძანების პროექტს კონკურსში გამარჯვებულ პირთა მოწვევის შესახებ.
12. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დამატებითი საათების (სასწავლო კურსებზე საუდიტორიო ჯგუფების შექმნა/გაყოფა და დავალიანებული კრედიტების დარეგისტრირება) წარმოშობის შემთხვევაში მოწვეული უნდა იქნას შესაბამისი სასწავლო კურსის აკადემიური თანამდებობის ან/და მოწვეული პირი (კონკურსის გარეშე და მათი თანხმობით). აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია აღნიშნული საათების განაწილება დეპარტამენტის სხვა აკადემიურ ან/და მოწვეულ პირზე.
13. აკადემიური დატვირთვის შესახებ რექტორის ბრძანებაგამოიცემა სასწავლო წლის დაწყებამდე. საჭიროების შემთხვევაშისტუდენტთა აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება განხორციელდეს ცვილილებებიაკადემიურ დატვირთვებში,სწავლების შესაბამის საფეხურზე სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არაუმეტეს სამი კვირის განმავლობაში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (აკადემიური/მოწვეული პერსონალის ავადმყოფობა, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/შეჩერება, სტუდენტთა რაოდენობის ცვლილება და სხვა ობიექტური გარემოება). შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოიცემა კონკრეტული საგამონაკლისო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.
14. აკადემიურ პერსონალს შეიძლება ჰქონდეს ,,ა“ ან ,,ბ“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვა:
    14.1 „ა“ კატეგორიის დატვირთვის აკადემიური თანამდებობის პირი **-** ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირი**,** რომელსაც შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა არ აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან (ან ბსუ-ს შინაგანაწესის თანახმად მიღებული აქვს თანხმობა ბსუ-ს რექტორისაგან), ასრულებს შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, წლიურ სავალდებულო საუდიტორიო დატვირთვას, მათ შორის, წინასწარ შედგენილი და ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით (ყოველდღიურად მინიმუმ 2 საათი, ლექცია, საკონსულტაციო და სხვა აქტივობა):
    ა) პროფესორი - კვირაში 16-საათი/საუდიტორიო - 250 საათი;
    ბ) ასოცირებული პროფესორი- კვირაში 18-საათი/საუდიტორიო - 300 საათი;
    გ) ასისტენტ-პროფესორი - კვირაში 20-საათი/საუდიტორიო - 320 საათი;
    დ) ასისტენტი - კვირაში 22-საათიან/საუდიტორიო - 350 საათი;
    14.2 „ბ“ კატეგორიის დატვირთვის აკადემიური თანამდებობის პირი - ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, წლიურ სავალდებულო საუდიტორიო დატვირთვას, მათ შორის, წინასწარ შედგენილი და ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით:
    ა) პროფესორი - კვირაში 8-საათი/საუდიტორიო - 125 საათი;
    ბ) ასოცირებული პროფესორი - კვირაში 9-საათი/საუდიტორიო - 150 საათი;
    გ) ასისტენტ-პროფესორი - კვირაში 10-საათი/საუდიტორიო - 160 საათი;
    დ) ასისტენტისთვის - კვირაში 11-საათიან/საუდიტორიო - 175 საათი;

15. ამ წესის მე-14 მუხლით განსაზღვრული ყოველდღიური და ყოველკვირეული სამუშაოს შესრულების ვალდებულება ვრცელდება სალექციო/სააუდიტორიო მეცადინეობის პერიოდში.
16. სასწავლო წლის დასაწყისში აკადემიური პერსონალს, როგორც წესი, რექტორის ბრძანებით განესაზღვრება,,ა“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვა. ბსუ-ს შინაგანაწესის მოთხოვნათა გათვალისწინებით დასაშვებია აკადემიური დატვირთვის კატეგორიის შეცვლა სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღისა, დასაქმებულის დასაბუთებული განცხადებისა და დეკანის შუამდგომლობის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი შეცვლა განპირობებულია ბსუ-ში ერთზე მეტ საშტატო ერთეულზე შრომითი ურთიერთობის წარმოშობით ან შეწყვეტით.
17. აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება გაიცემა ბსუ-ს საშტატო განრიგის მიხედვით:
    ა) ,,ა“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვის პირისთვის - შესაბამისი საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრული ოდენობით;
    ბ),,ბ“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვის პირისთვის - შესაბამისი საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრული ოდენობის ნახევარი.
18. ბსუ-ს სამეცნიერო/ადმინისტრაციულ/დამხმარე თანამდებობის პირს, რომელსაც ამავდროულად უჭირავს ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა, განესაზღვრება ,,ბ“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვა და გაიცემა შესაბამისი შრომის ანაზღაურება, ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად.
19. წლიური სავალდებულო სააუდიტორიო დატვირთვა შეიძლება გაიზარდოს 50 საათის ფარგლებში „ა“ კატეგორიის, ხოლო 25 საათის ფარგლებში - „ბ“ კატეგორიის იმ აკადემიური თანამდებობის პირისთვის, რომელიც ატარებს მეცადინეობებს მცირერიცხოვან ჯგუფებში (სტუდენტთა რაოდენობა 10-ზე ნაკლები, გარდა პრიორიტეტული, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამებისა).
20. დასაშვებია ერთი პიროვნების მიერ ერთდროულად 8 სადოქტორო/სამაგისტრო /საბაკალავრონაშრომის ხელმძღვანელობა სასწავლო წლის განმავლობაში, მათ შორის არაუმეტეს 2 სადოქტორო და არაუმეტეს 3სამაგისტრო ნაშრომის ან ერთდროულად არაუმეტეს 5 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა (დოქტორანტი ან მაგისტრანტი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ ჩაითვლება ამ პუნქტით განსაზღვრულ რაოდენობაში).
21. ბსუ-ში საათობრივი ანაზღაურების წესით აკადემიური დატვირთვა (სამუშაო) შეიძლება შეასრულოს და შესაბამისად, მიიღოს დამატებითი შრომითი ანაზღაურება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული ოდენობით:

ა) „ა“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვის მქონე პირმა - სასწავლო წლის განმავლობაში, სავალდებულო აკადემიური დატვირთვის გარდა, არაუმეტეს 250 სააუდიტორიო საათისა;

ბ) ,,ბ“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვის მქონე პირებმა - სასწავლო წლის განმავლობაში, სავალდებულო აკადემიური დატვირთვის გარდა, არაუმეტეს 50 სააუდიტორიო საათისა;

გ) ბსუ-ს სამეცნიერო/დამხმარე/ადმინისტრაციული პერსონალმა, რომელთაც არ უჭირავთ ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა - 150 სააუდიტორიო საათი, ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად მოწვევის (დასაქმების) შემთხვევაში.

22. ბსუ-ს რექტორი უფლებამოსილია, გამონაკლის შემთხვევებში (როცა შეუძლებელია ამ წესით დადგენილი პირობის შესრულება), უნივერსიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, გაზარდოს აკადემიური თანამდებობის პირისათვის ამ წესით დადგენილი აკადემიური დატვირთვის (საათობრივად ანაზღაურებადი) რაოდენობა.
23. ამ წესის 21-ე პუნქტით დადგენილი შეზღუდვა (დამატებითი საათობრივი დატვირთვის ზღვრული ოდენობა) ვრცელდება ასევე მოკლევადიანი და პროფესიული პროგრამების სასწავლო კურსებზე, თუკი მათი შესრულება დაგეგმილია ბსუ-ს სააუდიტორიო მეცადინეობებისას/სამუშაო დღეებში/საათებში(ორშაბათი-პარასკევი, 09:00 სთ-18:00 სთ).
24. საათობრივი ანაზღაურების წესით შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების შესახებ ბრძანება გამოიცემა ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.
25. სასწავლო სემესტრის დასაწყისში გამოიცემა ფაკულტეტის დეკანის ბრძანება სასწავლო კურსების მიხედვით სტუდენტთა სააუდიტორიო/აკადემიური ჯგუფების შექმნის შესახებ.
26. სააუდიტორიო/აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება:

    ა) ლექციაზე – არაუმეტეს 60 სტუდენტისა;

    ბ) საბუნებისმეტყველო, ექსპერიმენტულ, კომპიუტერულ და ტექნიკურ მეცნიერებებში ლაბორატორიულ/უცხოურ ენებში პრაქტიკული მეცადინეობაზე – არა უმეტეს 15 სტუდენტისა;

    გ)ჯანდაცვის/ფსიქოლოგიის სპეციალობების კლინიკურ დისციპლინებში პრაქტიკულ მეცადინეობაზე (კურაცია) – არაუმეტეს 12 სტუდენტისა;

    დ) სხვა დანარჩენი სპეციალობების პრაქტიკული/სემინარული მეცადინეობა/ჯგუფში მუშაობა - არაუმეტეს 25 სტუდენტისა.
27. სხვადასხვა სახის პრაქტიკის დროს ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო ჯგუფში პრაქტიკული მეცადინეობისათვის დადგენილ რაოდენობას, გარდა პედაგოგიური პრაქტიკისა, სადაც ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს;
28. დამატებითი სპეციალობაზე, არჩევით სასწავლო კურსში/მოდულში ან „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე“, ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ძირითად სასწავლო ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობას, ამ წესის 24-ე პუნქტის ,,ა“, ,,ბ“ და ,,დ“ ქვეპუნქტების მიხედვით.